

სელნაწერთა ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

III

მოკბე

III

ილია აბულაძე

იკოლიტე რომაელის ქრონიკონის ძველი ქართული ვერსია (შესავალი)

1. უძველესი ქართული ქრონოლოგიური სია და მისი რაობა

ძველ ქართულ ხელნაწერ კრებულებში ვხვდებით ზოგჯერ ქრონოლოგიურ სიებს, რომლებიც დასაბამიდან მოკიდებული, ე. ი. ადამიდან დაწყებული, გარკვეული მონაკვეთებით გვაწვდიან წყობას, ჯერ, პირველ მამათ-მთავრებისა და, მერმე, ჰურიასტანის, სპარსეთის, ეგვიპტისა და რომის ქვეყნების მმართველებისას. ჩვეულებრივ ისინი უსათაუროდ გვხვდება აღნიშნულ კრებულებში, თანაც მოცულობით ყოველთვის ერთიმეორეს არ თვარავენ.

ხსენებული ძეგლის არსებულ ნუსხათა შესწავლის მიზნით უპირველეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ადრინდელი ხანის ნაწერი. ასეთია ის ნუსხა, რომელიც შესულია ე. წ. შატერდის კრებულში (S—1141). იგი აქ უსათაუროდაა წარმოდგენილი: გამოსაყოფად წინა ნაწილისაგან ერთგვარი სამკაულებრივი ხაზი მოეპოვება, რაც, როგორც ირკვევა, მოასწავებს იმას, რომ ორივე შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს იმ სათაურმოფხეცილი ერთეულისა (სტატიისა), რომლის წინა ნაწილში მოკლე „შესავლის“ შემდეგ საუბარია: ექვსთა დღეთა ქმნილებათათვის და მეშვიდე დღეზე, ჩამომავლობაზე, ებრაულ ანბანზე (ასოთა სახელწოდებებითა და გამოსახულებებით), ძველი აღთქმის წიგნებზე (სახელწოდებებით ქართულად და ებრაულად), მათს დაყოფაზე, „ქსესტისა“ და „მოდის“ საზომებზე, ფსალმუნთა დაყოფაზე, ანბნის მოპოვებასა და ბერძნულ აღფაბეტზე¹.

ასეთი ხასიათის ტრაქტატს მოსდევს ჩვენთვის საგულისხმო ძეგლი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული წყობით გვაწვდის გარკვეული ქვეყნების მმართველთა ქრონოლოგიას. ავითეული წყობა-მონაკვეთი იწყება და მთავრდება მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული შემთხვევით, ან დასახელებით იმ პირისა, რომელთანაც ღირსაღსანიშნავი ისტორიული მოვლენებია დაკავშირებული.

პირველი მონაკვეთი იწყება ადამით, პირველი კაციით ან პატრიარქით. მას მოსდევენ მისი შემკვიდრე სხვა მამათ-მთავრები რიგზე, თვითეულის სიკოცხლის ხანგრძლივობის აღნიშვნით, სემამდის, რომლის დროსაც ისეთი მნიშვნელობის მოვლენას ჰქონია ადგილი, როგორიცაა წყლით-რღვნა.

ქრონოლოგიის მეორე მონაკვეთი იწყება სემით, რომლის დროსაც წარღვნა იყო, და ატანს აბრაამამდე, რომელსაც ღმერთმა მისცაო აღთქმა, რაც კვლავ დიდი მნიშვნელობის მოვლენად არის წარმოჩინებული.

¹ Е. Такайшвили. Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, Тифлис 1906—1912, стр. 636—637.

მესამე მონაკვეთი იწყება აბრაამით და მოდის მოსემდის, კერძოდ იმ მნიშვნელოვან მოვლენამდის, რომელიც მის დროს მოხდა, რაც ებრაელთა გამოყვანას ჰგულისხმობს ეგვიპტიდან.

პირველი თავის მეოთხე მონაკვეთი იწყება მოსეთი, კერძოდ იმ დროიდან, როცა მან ეგვიპტიდან თავისი ხალხი გამოიყვანა, და მოდის ისუ ნავემდის, სახელდობრ იმ მომენტამდის, როდესაც ისუ ეგვიპტიდან გამოსული ისრაელები აღთქმის ქვეყანაში დაამკვიდრა.

თვითეულ დასახელებულ მონაკვეთს აქვს ჯუშლი იმ წლებისა, რომლებიც გაატარეს ქვეყნად მონაკვეთის ფარგლებში მოქცეულმა მამათ-მთავრებმა. ამასთან ერთად ყოველი მომდევნო მონაკვეთის ბოლოს აღნიშნულ ჯუშლს ერთვის აგრეთვე წელთა რაოდენობა, რომელიც გასულია მონაკვეთის ბოლოსათვის წინა მონაკვეთების ამოსავალი სათვალავიდან.

მეორე თავად წარმოდგენილია „მსაჯულნი ისრაელისანი“. ერთი (მეხუთე) მონაკვეთით, რომლის ჯუშლი შეიცავს იმ წელთა საერთო ოდენობას, რაც მსაჯულობას მოანდომეს მონაკვეთის ფარგლებში მოქცეულმა პირებმა.

მესამე თავის სათაურია: „მეფენი იუდაასნი იერუსალემს“. იგი ორი მონაკვეთისაგან შედგება. პირველს, განსხვავებით სხვებისაგან, ჯუშლი არ მოეპოვება. მეორეს კი ის აქვს. ამისი ამოსავალია სალმანასარის მიერ ტყვედ წაყვანა ოსე მეფისა, ხოლო დასასრულია ნაბუქოდონოსორის მიერ იოვაკიმ მეფის ტყვედ წაყვანა და, ამრიგად, ისრაელის მოქცევა ბაბილონელთა ტყვეობაში. ცალკე ამ თავს თავისი ჯუშლიც აქვს დართული—„ყოვლად შეკრებიან წელნი მეფეთა იუდაასთანი“—და იმ წელთა რაოდენობაც, რომელიც გასულია ბოლო მომენტამდის ეგვიპტიდან გამოსვლის დროიდან, აბრაამისათვის მიცემული აღთქმიდან, წყლით-რღვნიდან და ადამიდან.

მეოთხე თავი ისრაელთა ტყვეობას ეხება ბაბილონელთა ხელში, სედეკიიდან მოკიდებული კვიროს სპარსთა მეფის გაბატონებამდის ისრაელთა ქვეყანაში. ჯუშლი მოეპოვება ამ თავსაც, რომელიც ერთი (მეორე) მონაკვეთისაგან შედგება. აქვეა ჩამოთვლილი ოდენობა წლებისა, რომლებიც გასულია ამ პერიოდამდის საულ მეფიდან, ისრაელთა გამოსვლიდან აბრაამისათვის მიცემული აღთქმიდან, წყლით-რღვნიდან და ადამიდან.

მეხუთე თავი, რომელიც აგრეთვე ერთი (მეცხრე) მონაკვეთისაგან შედგება, სათაურად ატარებს: „მეფენი სპარსთანი“. მისი ამოსავალი მომენტი კვიროსის გაბატონება ისრაელის ქვეყანაში, ხოლო ბოლოა დარიოს მეფის მოკვლა და, მაშასადამე, სპარსთა ბატონობის დამხობა, რასაც პტოლემეანთა ბატონობა მოჰყვა. ჯუშლად წარმოდგენილია მხოლოდ „წელნი კვროს მეფისაგან ვიდრე დარიოს მეფისამდე“.

მეექვსე თავი, ორი მონაკვეთისაგან შემდგარი, სათაურად ატარებს: „მეფენი პტოლემეანნი ეგვიპტელთანი“. პირველ (მეათე) მონაკვეთში შესულია პტოლემეანი მეფეები პტოლემეოს ლაგოსიდან მოკიდებული კლეოპატრამდის. მას ჯუშლად დართული აქვს ამ პერიოდში მოქცეულ პირთა ბატონობის წელთა საერთო ოდენობა.

მომდევნო, მეთერთმეტე, მონაკვეთში პტოლემეანთა მეფობის დამხობაზეა საუბარი, ამ დინასტიის უკანასკნელ მეფესა და მის თანამედროვე რომთა მეფეებზე—ივილიოსს, კასიონსა და აფვისტეზე, რომლის დროსაც იშვა ქრისტო. აქვეა დართული წელთა რიცხვი, გასული ქრისტეს შობამდის კვირო-

სისა და საშულის მეფობათაგან, ისრაელთა გამოსვლიდან, აბრაამისათვის მიცემული აღთქმიდან, წყლით-რღვნიდან და ადამიდან.

მეშვიდე თავი შედგება ძირითადად ორი რონაკვეთისაგან, რომელთაც შემდეგში კიდევ დართვა ორი მცირე მონაკვეთი. ამ თავს სათაურად შეიძლება დარქმეოდა: „კეისარნი რომანიან“. მისი პირველი (მეთორმეტე) მონაკვეთის ბოლო ზღვარს ჩვეულებისამებრ ჯუშული გამოჰკვეთს. ბოლო მიჯნად კი მასში ჯვართა პოენის დროა დასახელებული, ე. ი. კოსტანტინე დიდის მეფობის ხანა. ჯუშულად მოცემულია რომის კეისართა მეფობის საერთო რიცხვი აგვისტოს კეისრიდან (ან ქრისტეს შობიდან) დაწყებული კოსტანტინე დიდამდის (ან ჯვართა პოენამდის).

ამ თავის შემდეგი, მეცამეტე, მონაკვეთი იწყება კოსტანტინე დიდის მემკვიდრით, კოსტანტინით, და მთავრდება თეოდოსიოს კეისრით, თეოდოსი პესამით, რომელიც სულ ორიოდ წელს (716—717) მეფობდა.

ჩვენი ძეგლი, თანახმად იმსტატიის მცირე „წინასიტყვაობისა“ ანუ „შესავლისა“, რომლის შემადგენელ ნაწილს ის წარმოადგენს, თეოდოსი III-მდე უნდა ყოფილიყო მოყვანილი („ადამისითგან“, პირველ შექმნილისაჲთ, ვიდრე თევდოსი ღმრთის მოყუარისა, მესამისა“). ეს ასედაც ჩანს, მართლაც, შემონახული უძველესი ნუსხის მიხედვით, ამ მანუსკრიპტს, ე. წ. შატბერდულ კრებულს, დასახელებულ კეისრამდე ხელისა და მელნის მხრით ერთნაირობა ახასიათებს. სხვა, შემდგომი ხანის ნუსხებში, სადაც კი ეს ქრონიკა სრულიად არის შენახული, ეს მოვლენა შესამჩნევი არაა (მაგ., A—165-ში). ამრიგად, ჩვენი ძეგლი თავისი პირვანდელი სახით ამაზე უნდა დაბოლოვებულიყო, მაგრამ ის ამაზე კი არ მთავრდება, არამედ გრძელდება, კვირიჯან კეისრამდე (ციმისხამდე) არის მიყვანილი. ამ გაგრძელების პალეოგრაფიული შესწავლა უძველესი ნუსხის მიხედვით ამჟღავნებს ორი რიგის დამატებას, რომლებიც შეიძლება ცალკე მონაკვეთებად ჩაითვალოს. პირველი დანართი (მე-14 მონაკვეთი) ლეონ კეისრიდან, ისავრიელიდან, იწყება (717 წლიდან) და ლეონ მეხუთემდე ატანს (ე. ი. 820 წლამდის). ეს ნაკვეთი ძირითადად უფრო მომცრო ასომთავრულით არის ნაწერი, გარკვეული მელნითვე, რაც თითქოს ერთხელ ნაწერის გასაცხოველებლად იყოს ნახმარი. მეორე დანართი (მე-15 მონაკვეთი) ნუსხა-ხუცურიით არის შესრულებული (პირველი დანართისავე მსგავსი მელნით), იწყება მიქაელ კეისრით, მეორით (820 წლიდან) და აღწევს კვირიჯანამდის, რომელიც 969 წელს გამეფდა და 976 წლამდის იმეფა. ეს ნაკვეთიც, რომელიც მეტწილად კეისართა ზეობის წლებს ვერც აჩვენებს, ერთნაირი მელნის გამო წინა დანართთან, შეიძლება გვიან დამატებული, კრებულის გადაწერის ხანისა (X-ის 70-იანი წლებისა) იყოს.

2. უძველესი პრონოლოგიური სიის შემცველი ხელნაწერები

წარმოდგენილი სურათი ჩვენი ძეგლის უძველესისა და თანაც სრული ნუსხის მიხედვით არის შესრულებული. მის გარდა ხსენებული ძეგლი სხვა ხელნაწერებსაც დაუცავს. ხნით მომდევნო იერუსალიმის ორი ნუსხაა: № 44, რომელიც კრებულს წარმოადგენს და ხელის მიხედვით XII—XIII ს-ისად ითვლება, და № 74 XIII—XVI სს-ისა კვლავ ხელის მიხედვით². ეს ნუსხები

² R. Blake. Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem „Orient Chrétien“ 1924—1926.

სტრუქტურით ისეთივეა, როგორც უძველესი, შატბერდული. პირველისაგან განსხვავებით ამათში ქრონოლოგია მცირე ხარვეზით არ არის გამოყოფილი პირველი ნაწილისაგან იმ სტატიისა, რომელსაც აქ სათაური მოფხეკილი კი არა აქვს, როგორც შატბერდის ნუსხაში, არამედ იგი აქ სრულიად უსათაუროდ არის გაშვებული. ხარვეზების მაგივრად აქ, ორივეგან, წინა და მომდევნო ტექსტებს შორის ჩართულია ანდერძი (საფიქრებელია გადაწერისა): „ლოცვა ყავთ ჩემთვის, საყუარელო, აღმო-რად-იკითხვიდე, სიყუარულით შეიწყნარე!“.

იერუსალიმის № 44-ში უსათაუროდაა გაშვებული ის სტატია, რომელიც შატბერდულ ნუსხაში სათაურ-მოფხეკილია და რომლის ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, ქრონოლოგია უნდა წარმოადგენდეს. ხოლო იერუსალიმისავე № 74 ხელნაწერში ეს სტატია სათაურად ატარებს შემდეგს: „პროსომილიაჲსაჲ :ზ:“. ასეთი სათაური მისთვის, როგორც ჩანს, გადაწერს მიუცია, რადგან იგი მის ნუსხაში მისდევს სებერიანე გაბალონელის ექესი თავისგან შემდგარ „ექუსთა დღეთას“³, რომლის ცალკე თავები „პროსომილიაჲსა-დ“ იწოდება.

იერუსალიმის ნუსხები შატბერდულისაგან მხოლოდ მოცულობით განსხვავდება. აქ ქრონოლოგია მოტანილია VI თავის ბოლომდის, სადაც ქრისტეს შობაზეა საუბარი. ბოლო VII თავი, რომის კეისრების ქრონოლოგია, იქ სრულიად არაა მოყვანილი. სანაცვლოდ ლეთისმშობლის წინაპრებზეა დაწვრილებით საუბარი, რომელიც არც ერთ სხვა ნუსხას არ მოეპოვება და, გვგონია, სხვა ნაწარმოებიდან არის აქ მოტანილი ქრისტეს შობასთან დაკავშირებით. მას აქ ცალკე სათაურიც მოეპოვება: „გამოთქუმაჲ მამათ-მთავართაჲ სახარებისაგან სულისა წმიდისა მიერ მათე-ლუკაჲსგან“.

შემდგომი ხანის ნუსხებიდან ჩვენი ძველი შემოუნახავს ხელნაწერთა ინსტიტუტის A—165-ს, რომელიც XVIII ს-ისაა და მელქისედეკისა და იოანე ოსეს ძის მიერ არის გადაწერილი. სტრუქტურით ეს ნაწარმოები, მოცულობასთან ერთად, ისეთივეა, როგორც შატბერდულ კრებულში შესული. მეტიც, ეს გვიანდელი ნუსხა ამისგან გადაწერილი ჩანს, რაც შემდეგი გარემოებიდან ირკვევა. შატბერდის კრებულში შესულ ჩვენ ძველს ერთგან ფურცლის ნახევარი აქვს ჩამოჭრილი სიგარძეზე. წაჭრის გამო, ცხადია, ტექსტი დაზიანდა. დაზიანებულად ყოფილა წარმოდგენილი ტექსტი A—165 ხელნაწერშიც. ამის მიზეზი კიდევაც აღნიშნული: „ო ო ნ ო, აქ დედნის კრთი კარქა] ამოჭრილი იყო, მისთვის დამიგდია ეს კარი“ (გვ. 574). ეს კი ააშკარავებს, რომ A—165 ხელნაწერის დედანი შატბერდის კრებული ყოფილა. დანაკლისისათვის ადგილი გაუშვიათ. ის მალე შეუვსიათ მსგავსი ხელით, რომელიც ძნელად თუ გამოირჩევა ძირითადი ხელისაგან. შეუვსიათ, როგორც უდანაკლისო იერუსალიმურ ნუსხებთან შედარებით ირკვევა, ასეთი ნუსხათაგანიდან, მხოლოდ თავის (მეექვსის) ბოლოს მოქცეული წელთა ჯუშლის მოკვეციტა და ახალ (მეშვიდე) თავთან დასაკავშირებელი სიტყვების დართვით: „იქმნა შემდგომად ამისა მეფედ გერი მისი ტიბერიოს“.

³ ამ ნაწარმოების რაობა და მისი ავტორის ვინაობა გაარკვია ფილოლოგიურ მცნ. დოქტორმა თ. კ. ყონიამ. მასვე აქვს მომზადებული ეს ნაწარმოები გამოსაცემად.

არსებობს კიდევ ჩვენი ძეგლის სხვა ნუსხებიც, როგორც მაგ., ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—41⁴ და A—691⁵. პირველი მომდინარეა ან შატბერდის დეფექტური ნუსხიდან, ანდა უკანასკნელიდან გადაღებული რომელიმე პირიდან, რადგან მასში ჩვენი ძველი ნაკლულევანი სახით არის წარმოდგენილი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ფურცლის წაჭრის მიზეზით არის გამოწვეული შატბერდულ ნუსხაში, რომლისაგან, უშუალოდ თუ შუალობით, მომდინარეობენ საქართველოში დაცული სხვა ვრცელი ნუსხები (A—165, Q—41).

A—691 ჩვენი ძეგლის მთლიან ნუსხას, ისე დაცულს როგორც სხვაგან, კი არ წარმოადგენს, არამედ აქ ის გამოკრებით, ცალკე ნაკვეთებად და თანაც არა თანმიმდევრულად არის მოთავსებული. მოცულობით ეს ნაკვეთები იერუსალიმურ ნუსხებს არ აღემატება. იგი აშნაირი ნუსხიდან არის გადმოწერილი და არა შატბერდის კრებულიდან, როგორც ამას პროფ. ს. ყაუხჩიშვილი ირწმუნება⁶.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქრონოლოგია „ადამისითგან, პირველ შექმნულისათ, ვიდრე თეოდოსი ღმრთის-მოყუარისა, მესამისა“ არის ერთი მთლიანი ნაწარმოები, რომელიც სხვა, წინ წარმცდვანებულ თხზულებასთან ერთად, რომელიც შეეხება ექვსი დღის ქმნილებას, ბიბლიის წიგნთა ოდენობას, ფსალმუნთა დაყოფას, საწყაოსა და ანბანს, წარმოადგენს ძველი ხანის კრებულებში შემავალ ერთ ცალკე ერთეულს, რასაც უძველეს ნუსხაში სათაური მოფხეცილი აქვს, ხოლო სხვებში სრულიად არ მოეპოვება.

3. ქრონოლოგიური სიის დაშორებული შატბერდის კრებულის „სასწავლო წიგნთან“

იმის გამო, რომ კრებულის დასახელებულ ერთეულში საუბარი სხვადასხვა საცოდნელად საჭირო საგნებს ეხება და მათ აღწერასა თუ აღნუსხვას წარმოადგენს, მას პირობით ჩვენში „სასწავლო წიგნი“ შეერქვა. სახელწოდება, რომელიც პირველად მ. ჯანაშვილმა იხმარა მაშინ, როცა მან ამ „სასწავლო წიგნის“ პირველი ნაწილი (ე. ი. ის, რაც ქრონოლოგიური სიის წინ მოიპოვება) ცალკე გამოაქვეყნა⁷, შემდეგში არ შეცვლილა. სხვა სახელი შატბერდის/კრებულის ამ ნაწილს ვერ მოუძებნა ვერც პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა, რომელმაც „სასწავლო წიგნის“ ერთ ნაკვეთს („ბერძნული ანბანის შესახებ“) მახ ბერძნული წყარო დაუძებნა⁸. წინააღმდეგ მ. ჯანაშვილისა, მისი აზრით, „სასწავლო წიგნი“ ორი ნაწილისაგან კი არ შედგება, არამედ ერთისაგან,

⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია. ტ. I, შედგენილია ე. სეცთოველიისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 54—58.

⁵ Описание рукописей Тбилисского Церковного Музея... составленное Ф. Л. Жордания, книга II, Тифлис, 1902.

⁶ ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923, გვ. 178—185.

⁷ მ. ჯანაშვილი, აღვადგინე ანუ „სამი ისტორიული ხრონიკის“ და „წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შეასწორებელი სახელმძღვანელო, თბილისი, 1891, გვ. 118—134.

⁸ ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923 წ. გვ. 178—185.

მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემულისაგან⁹. მისივე დაკვირვებით, ეს ნაწარმოებები „წარმოადგენს კომპენდიუმს“, რომლისთვისაც „ქართველ ავტორს ამოღებული აქვს მასალები ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის სხვადასხვა ძეგლებიდან და შიგადაშიგ საკუთარი შენიშვნებიც აქვს ჩართული“¹⁰.

ძველს კრებულებში შესული დასახელებული სტატიის ფარგლების გასარკვევად ჩვენ მის „წინასიტყვაობას“ ანუ „შესავალს“ უნდა ვერწმუნოთ¹¹. იქ კი, როგორც ვხედავთ, ნათქვამია, რომ ვილაც „პატიოსანის“ თხოვნით დაწერილსა და მისთვის მირთმეულს ამ ნაწარმოებში საუბარი იყო ექვსი დღის ქმნილებათა და სხვათა შესახებ „ადამისითგან, პირველ შექმნულისაჲთ, ვიდრე თევდოსი ღმრთის-მოყუარისა, მესამისა“. აქიდან ნათელია, რომ აღნიშნული სტატიის შემადგენლობაში შედის დასახელებული ქრონოლოგიაც, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინა ნაწილისაგან უძველეს ხელნაწერში გამოყოფილია ერთგვარი სამკაულებრივი ხაზით და ადრინდელი სახით თევდოსი III-მდის აღწევს.

ქრონოლოგიის წინ წარმძღვანებული ნაწილის წყაროთა გამოძიებამ თუ ის, მართლაც, კომპენდიუმად გამოაცხადა, შედგენილად ბიზანტიური ხანის სხვადასხვა ბერძნულ ნაწარმოებთაგან, უმთავრესად ეპიფანე კვიპრელისა (ნ. მარტის ძეგბით¹²) და დიომიდე გრამატიკოსისაგან (ს. ყაუხჩიშვილის კვლევით¹³), საფიქრებელია, მაშინ თვით „ქრონოლოგიაც“, ე. ი. მომდევნო ნაწილიც ასეთივე წარმომავლობისა იყოს, — ისიც რომელიმე ძირითად წყაროსთან ერთად სხვებისაგანაც იყოს შევსებული და ისე მირთმეული ვილაც „პატიოსანისათვის“ მისივე თხოვნით.

ძიებამ ამ მხრით საგულისხმო სურათი გადაგვიშალა თვალწინ.

4. უძველესი ძართული „ქრონოლოგიური სია“ და იკონლიტე რომაელის Chronicon-ი“

სომხურ ძველ ხელნაწერებზე მუშაობის დროს „მატენადარანში“ (სომხეთის ხელნაწერთსაცავში ერევანს) ჩვენი ყურადღება მიიქცია შატბერდის კრებულში შესულმა, ჩვენთვის საიტერესო სტატიის მსგავსმა ნაწარმოებმა, რომელსაც დანაწევრებული სახით ვხვდებოდი სხვადასხვა კრებულში, ცალკე

⁹ ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი... გვ. 18.

¹⁰ იქვე, გვ. 180, შენიშვნა.

¹¹ „წინასიტყვაობა“: „ამას შენდა, (ჟ+J) პატიოსანო, ჩუენ შევწირავთ; რომლისა მადლისათჳს ჰკითხე (ჰკითხე A) მოკსენებაჲ, მისთჳს იყავნ!“

„არიან მრჩობლ-წერილთა მათ (ახს BJ) წარმოლება.—პირველად დაბადებულთა მათ ღმრთისა მიერ ექუსთა მათ დღეთა ქმნულნი (ქმნული A) და სხუანი რომელნიმე, წმიდათაგან წიგნთა თაედგმულნი, შემდგომად ჟამთა აღწერილნი: ადამისითგან, პირველ შექმნულისაჲთ, ვიდრე თევდოსისა (თევდოსი A) ღმრთის-მოყუარისა, მესამისა (:გ: AJ) და აბუდანტის მბრწყინვალისა (ღმრთის-მოყუარისა B): მერმე კუალად რაოდენი (რავდენი J, რაოდენ A) იქმნა სოფელსა შინა, :პ: წვალებისა სახელები და განმარტებაჲ მათი შემოკლებულითა და უხეშთაესითა გონებითა (გონებისა J) თითო(ე)ულისა (თითოეულისა J) მათისათჳს, რაოდენი შექმნა (რაოდენნი შექმნა B) ღმერთმან ექუსთა (+ მათ BJ) დღეთა სოფლის შესაქმნისათა, რომელსა-იგი გუთხოვდ (ითხოვდა A) და მოგიწერეთ შენ“.

¹² Н. Марр. Рецензия: М. Джанашивили, мწერლობა მე-IX—X საუკუნის. Тифлис, 1891, стр. 118—136; „სასწავლო წიგნი“: Виз. Врем., т. IX, вып. 3 и 4, стр. 461—465.

¹³ ს. ყაუხჩიშვილი, შატბერდის კრებულის სასწავლო წიგნი..., გვ. 182—184.

ეკესთა დღეთა კმნილებათა და სხ. შესახებ და ცალკე „ქრონოლოგიას“. პირველის სათაური: *მანასაყათომ ქ'რ არარჯოქსანუგ ხღ ქ'რ ზანასკოთანუ ლ ქ'რ აქიარხთანუ ლ ქ'რ კოსაქარანანუგ ანიოგ*, რომელიც ზოგან ეპითანე კვიბრელს მიეწერება (*მანასაყათომს თხანინ სექსიანოლ ასაფსაქ*)¹⁴, ხოლო მეორე ან უსათაუროდაა შესული კრებულებში, ანდა ზედწერილით *ქაღაღჲ ფიქონიქა* (სიტყუანი ფილონისნი)¹⁵. უსათაუროდაა ეს ნაწარმოები მოთაესებული ისეთ ძველ კრებულში, რომელიც 971/972 წლებს ეკუთვნის¹⁶ და, მაშასადამე, მსგავსი ქართული ძეგლის (უძველესი ნუსხის შემცველი შატბერდული კრებულის) დაწერის თანადროულია. სომხური „ქრონოლოგია“ ზოგი სომეხი მკვლევრის მიერ (ბ. სარგსიანი, ა. აბრაამიანი) ანანია შირაკელის (VII ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწის) ნაწარმოებად არის მიჩნეული.

დასახელებულ ნაწილთაგან ჩვენთვის უცხო საგულისხმოდ მეორე, ე. ი. „ქრონოლოგია“ იყო. მისი რაობის ძიების გათვალისწინებამ სომხურ ფილოლოგიაში ჩვენი კვლევა გარკვეული გეზით წარაართა.

მართალია, სომხურ უძველეს ხელნაწერში („მატენადარანის“ № 2679/102) დაცული „ქრონოლოგია“ ქართულს ბევრწილად აღემატება თავისი სისრულით, მაგრამ ის, რომ კავშირი მათ შორის გარკვეულ ნაწილებში მეტად ახლობელი ჩანდა, ჩვენ მათ დაპირისპირებითს შესწავლაზე ხელს არ გვაღებინებდა. ჯერ კიდევ ამ ძეგლის სომხურად გამომცემლის ბ. სარგსიანის მიერ იყო მთავარ ხაზებში დადგენილი¹⁷ და მერმე ი. მარკვარტის მიერაც გარკვეული¹⁸, რომ „ქრონოლოგიის“ სომხური ტექსტი სხვადასხვა უცხო და მშობლიურ წყაროდანაა გამოკრებილი VII ს.ში. არც ერთისათვის არ გამხდარა საეკვოდ ის, რომ ერთი მთავარი უცხო წყაროთაგანი იპოლიტე რომაელი იყო (გარდაცვლილი 236/7 წ.1).

იპოლიტე რომაელს რომ Chronicon-ი მოეპოვებოდა, დაწერილი ბერძნულად, ეს ცნობილი იყო, ჯერ ერთი, ძველიდანვე მისი ძეგლის კვარცხლებეზე აღბეჭდილი სიიდან მისი ნაშრომებისა და, მეორე, ამ ნაწარმოების ლათინური თარგმანიდან. ამ ნახევარი საუკუნის წინ Chronicon-ის სომხური ვერსიაც იქმნა მიკვლეული ზემორე აღნიშნული სახით და გამოქვეყნებული ბ. სარგსიანის მიერ 1904 წელს სათაურით: *„სსანონი ძამანასკაფრიქსან, ჯამაფირ ჯიქსნაქ ექი იარიო ქი ანაფიქი ძამანასკაფრავ ლ ჩრათარასქნაქ ზხრახიოქსამაქ ლ რაიყათოიქსამაქჲ“* (*ქსნსოქი*, 1904). იპოლიტეს ნაწარმოების ეს სომხური ვერსია შევიდა გერმანული თარგმანის სახით ბერძნულ-ლათინურ ვერსიებთან ერთად იპოლიტეს თხზულებათა გერმანულ გამოცე-

¹⁴ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 1097, 1F—2V. სათაური აქ მოქცეული ნაწილისა ასე შეიქმნა ითარგმნოს: „მრჩობლ ან განმეორებით სათხრობი 22 კმნილებისათვის, 22 მამათ-მთავრისათვის, 22 აღფაბეტისათვის და 22 აღთქმისათვის ძველთა“.

¹⁵ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 5254 ზედწერილით *ქაღაღჲ ფიქონიქა* (სპარსთა ბეფეებს კი ზედწერილიად აქეს: *სქიქსნიუქი ყათომაფიქი*) 190F—202V.

¹⁶ „მატენადარანის“ ხელნაწერი № 2679 (102). ეს ძველი გამოცემულია ორჯერ. 1. *სსანონი ძამანასკაფრიქსანი*. *ჯამაფირ ჯიქსნაქ ექი იარიო ქი ანაფიქი ძამანასკაფრავ ლ ჩრათარასქნაქ ზხრახიოქსამაქ ლ რაიყათოიქსამაქჲ... ქი ქსნსოქი*. 1904. 2. *ჟიიქი. ე-ე მ. ჟ. მ. ზ. რ. ა. ნ. ა. ნ. მსანსიო სქიქსნიუქი მათხნაფრიქსანი... თხრათი...* 357-399, სქსანი. 1944.

¹⁷ *სსანონი ძამანასკაფრიქსანი... შესავალი*.

¹⁸ Hippolytus Werke, vierter hand,—Die Chronik... nebst einem beitrug von J. Mark wart, Leipzig, 1929.

მაში მეოთხე ტომად, რომელიც Chronicon-ს ეძღვნება მხოლოდ. იგი ორჯერ არის გამოცემული, ერთხელ 1929 წელს (Hippolytus Werke, vierter Band. Die Chronik hergestellt von A. Bauer, durchgesehen und herausgegeben von Dr. R. Helm, nebst einem Beitrag von J. Markwart, Leipzig, 1929) და მეორედ 1955 წელს (Hippolytus Werke, vierter Band, Die Chronik, hergestellt von Adolf Bauer, durchgesehen, herausgegeben und in zweiter Auflage bearbeitet im Auftrage der Kommission für spätantike Religionsgeschichte der deutschen Akademie der Wissenschaften zu Berlin von Rudolf Helm, 1955. Berlin).

იპოლიტეს Chronicon-ი მის თხზულებათა დასახელებულ კრებულში წარმოდგენილია, ჯერ, ბერძნულ ენაზე შემონახული დასაწყისი-ნაწილით (ფრაგმენტით), რომელიც მოიცავს I. სარჩევს, II. წინასიტყვაობას; III. ხალხთა შთამომავლობას, მამათ-მთავართა გენეალოგიას და IV. დიამერისმოსს, და, მეორე, ლათინურ ენაზე დაცული სხვადასხვა სახის გაგრძელებით, ზოგან გერმანულად თარგმნილი შესატყვისი სომხური ვერსიის ტექსტთან ერთად. გაგრძელება შეიცავს V. მამათ-მთავართა გენეალოგიას (გაგრძელებას), რასაც მოსდევს: VI. მსაჯულთა სია, VII. მეფენი იუდაეისნი (ლათინურად და სომხურად დაცულნი), VIII. პასექნი (ლათინურად მენახული), IX. მეფენი სპარსთანი (ლათინურად და სომხურად დაცულნი), X. ოლიმპიადები დანართებით: ა) მამათ-მთავრები ადამიდან ქრისტემდის, ბ) წინასწარმეტყველები, ც) წინასწარმეტყველი ქალები (ლათინურად), დ) მეფენი ებრაელთანი, ე) მეფენი სამარიაეისანი, ფ) მლდელ-მთავარნი (ბერძნულად და ლათინურად), ჯ) მეფენი მაკედონიისანი (ლათინურად) და ზ) კეისარნი რომთანი (ლათინურად).

ქართული „ქრონოლოგია“, მსგავსად სომხურისა, ძირითადად იპოლიტე რომაელის თხზულებას მიჰყვება. ზემორე აღნუსხულ შემადგენელ ნაწილთაგან ქართულში დაცულია მხოლოდ შემდეგი ძირითადი და დანართი თავები: III და V თავები—მამათ-მთავართა გენეალოგია, VI თავი—მსაჯულნი, VII თავი—მეფენი იუდაეისნი, IX თავი—მეფენი სპარსთანი, ჯ) დანართი—მეფენი მაკედონიისანი ანუ პტოლემეანნი და ზ)—კეისარნი რომთანი.

იპოლიტეს Chronicon-თან მიმართებით ქართულში არა გვაქვს შემდეგი ძირითადი და დანართი თავები: I სარჩევი, II წინასიტყვაობა, IV დიამერისმოს (ხალხთა დასახლება), რაც სომხურს მოეპოვება, VIII პასექნი, X ოლიმპიადები, ა), დანართი—მამათ-მთავარნი ადამიდან ქრისტემდის, ბ)—წინასწარმეტყველები და ც)—წინასწარმეტყველი ქალები, დ)—მეფენი ებრაელთანი, ე) მეფენი სამარიაეისანი და ფ)—მლდელ-მთავარნი.

ქართულს, იპოლიტეს „ქრონოლოგიის“ სხვა ვერსიებთან შედარებით, განსხვავებული მოეპოვება ერთი თავი (IV, გვ. 238), რომლის ზედწარწერაა: „რიცხუნი წელთანი, რაოდენნი დაყვნეს ძეთა ისრაელისათა ბაბილოვნს ტყუევობასა მსგავსად სიტყვსა მის იერემია წინასწარმეტყუელისა“, რომელიც, შეიძლება, სხვა წყაროდან იყოს შემოტანილი.

როგორც ჩანს, ქართული „ქრონოლოგია“ იპოლიტე რომაელის Chronicon-ს პირდაპირ კი არ გადმოსცემს, ყველა მის ნაწილს კი არ იმეორებს, არამედ შერჩევით, გარკვეული მიზნით გამოკრებილ ამა თუ იმ ნაწილს შეიცავს. ამასთან ერთად ქართული ტექსტი უხვი სიტყვაობით, როგორც ეს სხვაგანაა, არ ხასიათდება. მისი მიზანი თითქოს ისაა, რომ აჩვენოს ებრაელი ხალხის თავგადასავალი და მოსცეს ამათი (როცა ესენი დამოუკიდებლად თუ

სხვისი უღლის ქვეშ იყვნენ) გენეალოგია, გამგებლობის ხანის ჩვენებითა და აქა-იქ რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის მოხსენებით. ქართული ძეგლი, სხვებთან შედარებით, ქრონოლოგიური სიის ხასიათს უფრო მკაცრად ატარებს, ვიდრე „ქრონიკონისას“.

ქართული „ქრონოლოგიის“ ძირითად წყაროს, როგორც აღვნიშნეთ, იპოლიტე რომაელის Chronicon-ი წარმოადგენს. ამას მიჰყვება იგი იპოლიტე რომაელის ხანამდის, 234 წლამდის, ე. ი. ალექსანდრე კეისრის მეფობამდის. შემდეგ ქართულს რომ გაგრძელება მოეპოვება ჯერ კოსტანტინე დიდამდის, სადაც ჯუმლიც არის ნაჩვენები აგვსტე კეისრიდან მოკიდებული კოსტანტინე დიდამდის, და მერმე განუხრელი წესითა (ოდენ დასახელებითა და ზეობის ჩვენებით) და ხელით ის გაგრძელებულია თეოდოსი III-მდის, გვეუბნება, რომ ის იპოლიტეს ნაწარმოებს დაჰრთვია (შეიძლება ორგზის — ჯერ კოსტანტინემდის და მერმე თეოდოსი III-მდის) VIII ს-ის დამდეგს, — თეოდოსი III-ის მეფობის დასრულების, ე. ი. 717 წლის შემდეგ. ამ უკანასკნელზე ხომ, როგორც ზემოთ ვნახეთ, მიათითებდა კრებულის იმ სტატიის „წინასიტყვაობა“, რომლის შემადგენელ ელემენტად „ქრონოლოგია“ გამოდის! (ადამისთვან, პირველ შექმნულისაჲთ, ვიდრე თევდოსი ღმრთის მოყუარისა, მესამისაო)“. ასეთივე ბედი ეწია, სხვათა შორის, იპოლიტეს თხზულებას სომხურშიც, სადაც მოტანილია 640 წლამდის (ჭერაკლეს კეისრობის დასასრულამდის).

5. თარგმანიბა თუ პართულად შედგენილი უძველესი ქართული „ქრონოლოგიური სია“

ვის ეკუთვნის ის დანართები, რომლებიც იპოლიტეს Chronicon-ს მოეპოვება ქართულში? თუ დავდგებით, იმ თვალსაზრისზე, რომ თავი, რომლის შემადგენელ მეორე ნაწილად „ქრონოლოგია“ ჩანს, წარმოადგენს კომპენდიუმს, რომლისათვის მასალები ქართველ ავტორს ამოღებული აქვს ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობის სხვადასხვა ძეგლიდან და შიგადაშიგ საკუთარი შენიშვნებიც აქვს ჩართული (ს. ყაუხჩიშვილი), შეიძლება დავუშვათ, რომ Chronicon-ის დანართები ქართველი ავტორის საქმეაო. არამც თუ დანართების, არამედ თვით ძირითადი ტექსტის შიშართაც კი, რომელიც უშთავრეს წყაროდ იპოლიტეს Chronicon-ს გვიჩვენებს, შეიძლება გასწიოს კაცმა ასეთი ვარაუდი, რაც შესაძლოა დამაჯერებელი გახდეს, თუ მართლაც ტექსტს სადმე ამისი მანიშნებელი რაიმე კვალი ექნება აღბეჭდილი.

ქართულ „ქრონოლოგიას“, რომელიც უმთავრესად იპოლიტე რომაელის Chronicon-ს წარმოადგენს, ალაგ-ალაგ ბერძნული ლექსიკური ერთეულები მოეპოვება ან უთარგმნელად გადმოტანილი, ანდა თარგმანდართული. ასე მაგ., III თავში („მეფენი იუდაჲსნი იერუსალჲმს“) ერთგან, სადაც იკითხება „ესაია წინაწარმეტყუელმან სიკუდილისა მისისათჳს პრორჳგორევსე, ცრემლოოდა მწარედ“ — უთარგმნელად არის გაშვებული „პრორჳგორევსე“, რაც „იწინასწარმეტყველა“-ს (πρωρξγορϵσϱ, πρϱβρϱϵσϱ, πρϱβρϱϵϱϱ) ნიშნავს. იქვეა აგრეთვე სხვა ბერძნული ტერმინიც, ოღონდ თარგმანთან ერთად მოცემული: „სასწაული მისცა მას ესაიაჲს მიერ წინაწარმეტყუელისა, ეპანოდონ, — აჩრდილი მზისაჲ კუალად იქცა ათთა მენაკთა“. Ἐπανϱδϱν მართლაც „მოქცევას“, „მობრუნებას“ აღნიშნავს. V თავში („მეფენი სპარსთანი“) და-

რეპ-დარიოსზე ნათქვამია, რომ იგია „ცოლის გერი-ნოითოსიო“. აქაც „ნოეთოს“-ი ბერძ. νῆπιος-ი ანუ ქართ. „გერ-ია“. აქვე არტახშეს ჩვენი ძეგლის იერუსალიმურ ნუსხაში „მნიმონ-ად“ (μνημον) არის მოხსენებული, მაშინ როცა სხვაგან იქ „მოქსენე-ა“ და სხვ... აშკარაა, ასეთი მოვლენები დედნიდან, ამ შემთხვევაში ბერძნული ტექსტიდან, მოყოლილობაზე მიათითებენ თარგმნის წარმოების შემთხვევაში და არა დედნის გადმოქართულებაზე. შეიძლება, ეფიქრა კაცს, ეს ბერძნობები უშუალოდ კი არა, არამედ შუალობით შემოსულიყო ქართულში, ე. ი. ჯერ სხვა რომელიმე ენაში არსებულიყო და მერმე იქიდან გადმოეღოთ ქართულში. ასეთად, შეიძლება, სომხური გვევარაუდნა, მაგრამ იქ, სადაც შესაბამისი ადგილები სომხურში დატულია, ბერძნული ლექსიკური ერთეულები სრულიად არ მოიპოვება. ასე მაგ. „(ცოლის) გერი-ნოითოსი—νῆπιος“—სომხურში გადმოცემულია საკუთარი სიტყვით „խորქ“, „მნიმონ—μνημον“ კი „ուշխ“-ით და სხვ... ამრიგად, ქართული „ქრონოლოგია“ უფრო თარგმნილი ძეგლი ჩანს (ბერძნულიდან), ვიდრე ქართველი ავტორის მიერ გადმოქართულებული ნაწარმოები (იმავე ბერძნულიდან).

როგორც ზემოთ (გვ. 231) აღვნიშნეთ, იპოლიტეს Chronicon-ის ქართული ვერსია ქრონოლოგიური სიის ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ქრონიკისას. რადგან ის, როგორც ეხლახან ითქვა, ამასთანავე თარგმანიცა ჩანს, ამიტომ ასეთი სახე იპოლიტეს ქრონიკონს ბერძნულად უნდა მიეღო და იქიდან, ცხადია, გადმოჰყვებოდა ქართულს.

6. რა დროის თარგმანია იპოლიტეს ქრონიკონის ქართული ვერსია

იპოლიტე რომაელის Chronicon-ის ქართული ვერსია 717 წელზე ადრე ქართულად ვერ აღმოცენდებოდა; ამ წელზე ადრე ვერ ითარგმნებოდა, რადგან ამ მომენტამდის აღწევს მისი გაგრძელება. თეოდოსი III მეფობით (717 წლით) უნდა ყოფილიყო ქართულის დედანი დამთავრებული, როგორც ამაზე მიუთითებს იმ სტატიის 'ხესავალი, რომელიც უსათაუროდ არის წარმოდგენილი ცველ ხელნაწერ კრებულებში. მეორე ზღვარი, რის გვიან ის ვერ ითარგმნებოდა, X ს-ის 70-იანი წლებია, როცა უცვლესი ხელნაწერი (მატბერდის კრებული) არის გადაწერილი. რადგან ამ ნუსხას გრაფიკულ ნიშნადაც აღმოცენებული არა ერთი შეცდომა მოეპოვება, გადმოყოლილი დედნიდან, ამიტომ ეს უკანასკნელი საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში IX საუკუნისა მაინც. თვით ჩვენი ძეგლი კი შეიძლება VIII ს-ის თარგმანადაც მივიჩნიოთ, მეტადრე ამ საუკუნის პირველი ნახევრისა, რადგან მასში არ მოიპოვება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არაბულიდან ან ახალი სპარსულიდან მოდიოდეს.

7. ძეგლის ლექსიკა

იპოლიტე რომაელის Chronicon-ის ქართული ვერსია სხვათა შორის ძვრითაა ჩვენთვის ენობრივი მხრითაც. ზოგიერთ ლექსიკურ მასალას ზემოთაც შევხვით. აქ მას კიდევ ისეთი სიტყვები უნდა დავუმატოთ, რომლებიც საგანგებო აზრით იხმარება ან იშვიათად გვხვდება ძველად.

„ზრახვა“ ძველ ქართულში „უბნობას“, „ფიქრს“ აღნიშნავს. ჩვენი ძეგლის ერთი ადგილით ის „მნიშვნელობას“, „ზრს“, „ახსნა-განმარტებას“

ჰგულისხმობს („ჩუენებაჲ იხილა ნაბუქოდონოსორ და ზრახებაჲ იგი ჰკითხა ქალდეველთა და ბაბილონისა ბრძენთა“ (გვ. 238, 11).

„ხუეიკი“ ძველად უმთავრესად ბიბლიის ტექსტებში გვხვდება¹⁹. მას იქ „უეიკ“ და ჰუეიკ“ ფორმითაც ვხვდებით. ნათელი არაა ხოლმე მათი აღმნიშვნელობა იქ. ჩვენს ტექსტში იგი ტომობის აღმნიშვნელია დარიოს სპარსთა მეფისა: „დარიოს ხუეიკი :იზ: წელ“ (გვ. 238, 21), ე. ი. Darii... de semine Medorum (Lib. gen. I)... *Դարինի... ի զսակէ Մարաց* (ARM.).

„პირის მწდე“ ტერმინი სომხურით *տակառապես*-ს უდრის, ე. ი. „მეღვინეთ-უხუცესს“.

